DOI:10.52340/PUTK.2233-3541.2026.28.11

პროფესიული განათლებისა და სოციალ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის ასპექტები ბათუმში: ბათუმის სახელოსნო სასწავლებელი (1888–1921 წწ.)

ASPECTS OF VOCATIONAL EDUCATION AND SOCIO-ECONOMIC TRANSFORMATION IN BATUMI: BATUMI WORKSHOP SCHOOL (1888–1921)

MZIA SURMANIDZE
Senior Specialist of Service of Foreign, Public and Media Relations, Publication and Use of Documents of Archives Administration of Ajara;
Batumi, Georgia
m.surmanidze@archives-ajara.gov.ge
+995 555 587788;
Batumi, Georgia

MARINE JINCHARADZE
Associate Professor at Batumi Shota Rustaveli State University;
Batumi, Georgia
marina.jincharadze@bsu.edu.ge
+995 591 980400

Abstract. The present article examines the history of the establishment, development and functional transformation of Batumi Workshop School from 1888 to 1921. The research is based on the primary sources preserved in the Fund I-27 of the Archives Administration of Ajara, which include certificates of personal files of students, minutes of the Pedagogical Council, correspondence and circulars. The paper analyzes the role of the educational institution in the socio-economic life of the region, the evolution of educational profiles, the impact of the First World War on the educational process and the stages of reorganization of the institution in the light of the change of political regimes. Special attention is paid to the presentation of biographical data of the public, medical and educational elite of that period.

Key words: *Batumi workshop school, Ajara archives, professional education, archival fund, urban history of Batumi*.

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

მზია სურმანიძე
აჭარის საარქივო სამმართველოს საზღვარგარეთთან,
საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობისა და დოკუმენტების
პუბლიკაციის და გამოყენების სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ბათუმი, საქართველო
m.surmanidze@archives-ajara.gov.ge
+995 555 587788;

მარინა ჯინჭარაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი;
ბათუმი, საქართველო
marina.jincharadze@bsu.edu.ge
+995 591 980400

აბსტრაქტი. წინამდებარე სტატიაში შესწავლილია ბათუმის სახელოსნო სასწავლებლის დაარსების, განვითარებისა და ფუნქციური ტრანსფორმაციის ისტორია 1888 წლიდან 1921 წლამდე. კვლევა ეფუძნება აჭარის საარქივო სამმართველოს ფონდ ი-27-ში დაცულ პირველწყაროებს, რომლებიც მოიცავს მოსწავლეთა პირადი საქმეების ატესტატებს, პედაგოგიური საბჭოს ოქმებს, მიმოწერებსა და ცირკულარებს. ნაშრომში გაანალიზებულია სასწავლებლის როლი რეგიონის სოციალ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, სასწავლო პროფილების ევოლუცია, პირველი მსოფლიო ომის გავლენა სასწავლო პროცესზე და დაწესებულების რეორგანიზაციის ეტაპები პოლიტიკური რეჟიმების ცვლილების ფონზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ პერიოდის საზოგადოებრივი, სამედიცინო და საგანმანათლებლო ელიტის ბიოგრაფიული მონაცემების წარმოჩენას.

საკვანძო სიტყვები: *ბათუმის სახელოსნო სასწავლებელი, აჭარის არქივი, პროფესიული განათლება, საარქივო ფონდი, ბათუმის ურბანული ისტორია.*

შესავალი

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, მას შემდეგ, რაც ბათუმმა „პორტო-ფრანკოს“ სტატუსი შეიძინა და მოგვიანებით სარკინიგზო და საზღვაო მაგისტრალების უმნიშვნელოვანეს კვანძად იქცა, დღის წესრიგში დადგა კვალიფიციური ტექნიკური და სახელოსნო კადრების მომზადების აუცილებლობა. რეგიონის ინდუსტრიულმა განვითარებამ მოითხოვა ისეთი საგანმანათლებლო კერების შექმნა, რომლებიც ადგილობრივ ბაზარს ხელოსნებითა და ტექნიკოსებით უზრუნველყოფდა. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბათუმის სახელოსნო სასწავლებელი, რომელიც 1888 წლის 7 მარტს დაარსდა შეპელევის ქუჩის №2-ში (ამჟამინდელი ვაჟა-ფშაველასა და ნინოშვილის ქუჩების კვეთა).

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, საარქივო დოკუმენტების კომპლექსური ანალიზის საფუძველზე, აღადგინოს სასწავლებლის ფუნქციონირების სრული სურათი, აჩვენოს მისი კავშირი იმდროინდელ კავკასიის სასწავლო ოლქის საგანმანათლებლო პოლიტიკასთან და წარმოაჩინოს ის სოციალური და კულტურული გარემო, რომელშიც დაწესებულებას უწევდა ოპერირება.

მეთოდოლოგია

კვლევის ძირითად მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ისტორიულ-გენეტიკური, აღწერილობითი და საარქივო დოკუმენტების კრიტიკული ანალიზის მეთოდები. კვლევის პროცესში დამუშავდა აჭარის საარქივო სამმართველოს ფონდ ი-27-ის („ბათუმის სახელოსნო სასწავლებელი“) საქმეები. აღნიშნული ფონდი 1982 წელს დაექვემდებარა ტექნიკურ-სამეცნიერო გაუმჯობესებას, დაზუსტდა თარიღები, ჩატარდა რესტავრაცია და შედგა ისტორიული ცნობა. ფონდი მოიცავს 68 საქმეთა ერთეულს (აღწერაში ფიქსირდება 69 საქმე).

წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით, კვლევა ეყრდნობა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ჟურნალებს, პედაგოგიური საბჭოს ოქმებს, სამედიცინო მოწმობებსა და სამხედრო უწყებებთან მიმოწერას. საარქივო მასალების ვალიდურობის შესამოწმებლად გამოყენებულია მათი შედარება იმდროინდელ პერიოდულ პრესასთან (მაგ. გაზეთი „Эхо Батума“) და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განათლების ისტორიის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურასთან. კვლევის პროცესში გაჩნდა გარკვეული სირთულე, რაც დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ ფონდში 1910 წლამდე პერიოდის (დაარსებიდან პირველი 22 წლის) დოკუმენტაცია ფაქტობრივად დაკარგულია ან არ არის დაცული, რის გამოც ადრეული ეტაპის რეკონსტრუქცია მხოლოდ გვიანდელი დოკუმენტების ისტორიული მიმოხილვების საფუძველზე გახდა შესაძლებელი.

შედეგები: საარქივო ფონდ ი-27-ის კომპლექსურმა კვლევამ აჩვენა, რომ ბათუმის სახელოსნო სასწავლებელი რეალურად წარმოადგენდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მულტიკულტურულ საგანმანათლებლო და ინდუსტრიულ კერას. 1888-1921 წლებში დაწესებულებამ განიცადა სერიოზული ფუნქციური ევოლუცია და ვიწრო სახელოსნო პროფილიდან საშუალო ტექნიკურ სასწავლებლამდე ამაღლდა. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში სასწავლებელი წარმატებით გადაეწყო სამხედრო-სამობილიზაციო რეჟიმზე და უზრუნველყო ფრონტისა და ჰოსპიტალების მომარაგება, რაც მოსწავლეთათვის უნიკალურ საწარმოო პრაქტიკად იქცა. საარქივო მასალებში დაცული უმდიდრესი პერსონალური დოკუმენტები, სამედიცინო ცნობები და საეკლესიო მეტრიკები იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას, აღდგეს მეოცე საუკუნის დასაწყისის ბათუმის საზოგადოებრივი ელიტისა და სხვადასხვა ეთნიკურ-რელიგიური ჯგუფის პროსოპოგრაფიული სურათი. საბოლოოდ, პოლიტიკური რეჟიმების ცვლილებების ფონზე, სასწავლებლის ბაზა იქცა მყარ საძირკვლად რეგიონში სახალხო უნივერსიტე-

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ტის საზოგადოების დასაფუძნებლად და შემდგომი საბჭოთა პროფესიული განათლების სისტემის მოსაწყობად.

მსჯელობა

სასწავლებლის სტრუქტურა, სპეციალობები და რეორგანიზაცია. საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ტექნიკური სასწავლებლები დაარსებისთანავე კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის დაქვემდებარებაში შედიოდა, ხოლო სახელოსნო სასწავლებლები - სახალხო სასწავლებელთა დირექტორის უწყებრივ დაქვემდებარებაში (ფონდი ი-27, აღწერა 1, საქმე 3, ფურცელი 49; შემდგომში: ი-27-1-3, ფ. 49). 1889 წლიდან სასწავლებელში ამოქმედდა საზეინკლო, სადურგლო-შემდუღებლობის, სამჭედლო და სამსხმელო (საჩამომსხმელო) განყოფილებები. მოგვიანებით, რეგიონის აგრარული და ინდუსტრიული სპეციფიკის გათვალისწინებით, დაემატა სხვა დარგები: შალის (1895 წ.), აბრეშუმისა და ხალიჩების ქსოვა (1909 წ.).

სწავლების ხანგრძლივობა დარგების მიხედვით ვარირებდა: სადურგლო სპეციალობაზე - 1-4 წელი, საჩამომსხმელო და ხალიჩების ქსოვის განხრით - 2 წელი, ხოლო საზეინკლო, სამჭედლო და საფეიქრო მიმართულებებზე - 1 წელი. 1910 წლის მონაცემებით, სასწავლებელში ირიცხებოდა 16 ხარატი, 57 ზეინკალი და 13 ხალიჩების მქსოველი. სასწავლებელი დიდწილად თვითდაფინანსებაზე იყო და ფუნქციონირებდა კერძო და სახელმწიფო შეკვეთების ხარჯზე. ხდებოდა მოსწავლეთა მივლინება პრაქტიკაზე ქარხნებსა და ფაბრიკებში, რაც მათ პრაქტიკული უნარების გამომუშავებაში ეხმარებოდა.

სასწავლებლის განვითარებაში მნიშვნელოვანი ეტაპი იყო 1910 წელს პიატიგორსკში გამართული კავკასიის სასწავლო ოლქის სახელოსნო სასწავლებელთა ხელმძღვანელების პირველი ყრილობა. ამ ყრილობის დადგენილებათა საფუძველზე გაფართოვდა საზეინკლო, სადურგლო და საჩამომსხმელო სახელოსნოები, რამაც დაწესებულება ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებს შეუსაბამა. საგანმანათლებლო პროცესი მუდმივად ვითარდებოდა სამეცნიერო პროგრესის მიმართულებით. მაგალითად, 1914 წლისთვის, აბრეშუმისა და შალის შეღებვის პროცესის მეცნიერულ საფუძვლებზე დასაყენებლად, პროგრამაში შეიტანეს ქიმიის მოკლე კურსი (ი-27-1-4, ფ. 13). დაგეგმილი იყო აგრეთვე პრაქტიკული ელექტროტექნიკის საკვირაო კურსების გახსნა მაღალი კლასის მოსწავლეებისა და კერძო პირებისათვის.

საინტერესოა სოციალური მხარდაჭერის სისტემაც: 1891 წლიდან სასწავლებელთან მოქმედებდა სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფი საერთო საცხოვრებელი და სასადილო 20 მოსწავლეზე, ხოლო დანარჩენი მოსწავლეები იხდიდნენ 145 რუბლს წელიწადში ან 10 რუბლს თვეში. მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 1/7 სრულად თავისუფლდებოდა გადასახადისგან (ი-27-1-4, ფ. 23). 1912 წლის 10 მარტის კანონის თანახმად, ეს შეღავათი ვრცელდებოდა იმ პედაგოგებისა და ტექნიკური პერსონალის შვილებზე, რომელთაც საგანმანათლებლო სისტემაში 10 წლის სტაჟი ჰქონდათ (ი-27-1-11, ფ. 30).


1914 წლის 15 ივლისიდან 15 აგვისტომდე პიატიგორსკში მოეწყო კავკასიის სას-

CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

წავლო ოლქის სამრეწველო დაწესებულებების, პროფესიული და სახელოსნო სასწავლებლების, ხელსაქმის კლასებისა და ხატვის სპეციალურად ორგანიზებული კურსების წარმომადგენელთა ნამუშევრების გამოფენა. გამოფენის მრავალმხვრივობამ, მრავალფეროვნებამ და ექსპონატთა ხასიათმა წარმოაჩინა როგორც მასწავლებელთა, ასევე მოსწავლეთა შესაძლებლობები, გამოიკვეთა სამომავლო, შედეგის მომტანი ღონისძიებების გატარების აუცილებლობა. ბათუმის სახელოსნო სასწავლებლიდან გამოფენაში მონაწილეობა მიიღო 14 წარმომადგენელმა (ი-27-1-4, ფ. 26)

პირველი მსოფლიო ომის პერიოდი და სამხედრო მობილიზაცია. პირველმა მსოფლიო ომმა ძირფესვიანად შეცვალა ბათუმის სახელოსნო სასწავლებლის პროფილი. 1914 წლის 22 ივლისიდან დაწესებულება მიხეილის ციხესიმაგრის კომენდანტის განკარგულებით ჩაება სამხედრო შეკვეთების შესრულებაში (ი-27-1-4, ფ. 38). სასწავლო პროცესის პარალელურად, მოსწავლეები დღეში ოთხ საათს მუშაობდნენ სამხედრო უწყებებისა და „წითელი ჯვრის“ ორგანიზაციის შეკვეთებზე: ამზადებდნენ ჰოსპიტალის საწოლებს, სატრანსპორტო ბორბლებსა და ქირურგიულ ინსტრუმენტებს (ი-27-1-8, ფ. 50; ი-27-1-18, ფ. 34). ამ მობილიზაციაში ჩართული იყო I, II და III კლასის ათეულობით მოსწავლე და პრაქტიკანტი, რისთვისაც სასწავლებლის ინსპექტორმა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისგან საგანგებო სამადლობელი წერილი მიიღო (ი-27-1-4, ფ. 54). ომის მძიმე სოციალურ შედეგებს ასახავს ფონდში დაცული საქმე №5, რომელიც მთლიანად ომში დაზარალებულთა დახმარებას და ფრონტისთვის საშობაო საჩუქრების მომზადებას ეხება. შეკვეთების შესრულებაში 1917- 1918 წწ. ბათუმის სახელოსნო სასწავლებელი თავისი სამუშაოების 50 % ასრულებდა.

ომისდროინდელ სირთულეებს დაერთო ეპიდემიებიც. 1915 წლის თებერვალში სასწავლებელში დაფიქსირდა მუცლის ტიფის შემთხვევა. ექიმის მოთხოვნით, სასწავლო პროცესი ორი კვირით შეჩერდა, ჩატარდა შენობის დეზინფექცია, შეთეთრება და იატაკის გადაღებვა, ხოლო ინსპექტორი ითხოვდა გაძლიერებულ სამედიცინო მეთვალყურეობას 400 პანსიონერისთვის (ი-27-1-8, ფ. 10).



პლატონ გიგინეიშვილის ბეჭდით დამოწმებული ცნობა, გაცემული გიორგი ლუკას ძე მჟავანაძეზე, 1913 წელი.

CC BY-ND 4.0


Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

პოლიტიკური არასტაბილურობის ფონზე, გამკაცრდა იდეოლოგიური კონტროლიც. 1915 წლის თებერვალში, მიხეილის ციხესიმაგრის სამხედრო გუბერნატორის ბრძანებით, „პოლიტიკურად არაკეთილსაიმედოობის“ ბრალდებით სამსახურიდან გადააყენეს და ბათუმიდან გააძევეს ხატვის მასწავლებელი მ. პ. ხანბეკი, მას შემდეგ, რაც მისი შვილი დააპატიმრეს (ი-27-1-11, ფ. 77, 106).

პერსონალიები და საზოგადოებრივი ელიტა. საარქივო ფონდი ი-27 მნიშვნელოვანი წყაროა რეგიონის ბიოგრაფიული და პროსოპოგრაფიული კვლევებისთვის. დოკუმენტებში ფიქსირდებიან იმდროინდელი ინტელიგენციის წარმომადგენლები:

- ვლადიმერ ნიკოლოზის ძე სკვარცოვი - სასწავლებლის ინსპექტორი (დ. 1877 წ.), რომელმაც განათლება ჟენევის უნივერსიტეტში მიიღო (ი-27-1-9, ფ. 2).
- ვლადისლავ იულონის ძე კუკლინსკი - მასწავლებელი, ლოძის უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული.
- მღვდელი ანდრეი ივანიცკი - ღვთისმეტყველების პედაგოგი, კურსკის სემინარიის აღზრდილი.
- ალექსეი ვორობიოვი - ზედამხედველი, მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის პირველი ხარისხის დიპლომანტი.
- დოქტორი დავით მიხეილის ძე კუზიატინი - სასწავლებლის შტატიანი ექიმი (იუდაისტური აღმსარებლობის), საიმპერატორო სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის კურსდამთავრებული. 1915 წელს, 25-წლიანი უზადო სამსახურისათვის, პედსაბჭოს გადაწყვეტილებით მას სახელოსნოში დამზადებული ვერცხლისფირფიტიანი წიგნის კარადა მიართვეს (ი-27-1-8, ფ. 152).

N 2 საქმეთა ერთეულში დაცულია ბათუმის სახელოსნო სასწავლებლის (1910–1921 წწ.) კურსდამთავრებულებზე გაცემული ატესტატების ასლები, რომლებიც ნათლად აჩვენებენ რეგიონის დემოგრაფიულ და გეოგრაფიულ მრავალფეროვნებას.





CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

1916 წლის მარტის მონაცემებით, სასწავლებელში სულ 119 მოსწავლე ირიცხებოდა (მათ შორის 21 პრაქტიკანტი ვაჟი და 15 ქალი). საარქივო დოკუმენტებიდან იკვეთება სერგო ჯიბუტის, ივანე კობეშავიძის, მიხეილ კალატოზოვის, სულეიმან ბეგ ფაღავას, ივანე გაბრიელის ძე ხეჩინოვის და სხვა კურსდამთავრებულების ბიოგრაფიული პორტრეტები. დოკუმენტებში წარმოდგენილია დაბადების წელი, ადგილი და კვალიფიკაციის (ოსტატის შეგირდის, საზეინკლო ხელობის შეგირდის) მინიჭების წელი.

სასწავლებლის პირადი შემადგენლობა (რომელიც სხვადასხვა დროს 7-დან 9 თანამშრომლამდე მერყეობდა) დაკომპლექტებული იყო მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრებით. მე- 9 საქმეში დეტალურადაა აღწერილი წამყვან პედაგოგების: ვლადიმერ ნიკოლოზის ძე სკვარცოვის, პავლე ივანეს ძე აკამოვის (აკამაშვილი), ვლადისლავ იულონის ძე კუკლინსკის, მღვდელი ანდრეი სტეფანეს ძე ივანიცკის, მიხეილ სილოვანის ძე სიამაშვილის, ალექსეი ნიკოლოზის ძე ვორობიოვის ბიოგრაფიები.

სასწავლებლის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის, ნ. რუდოლფის ეგიდით ჩატარებულ ხელსაქმის სპეციალურ კურსებს (1910–1913). ნისანდობლივია, რომ სასწავლებლის ბაზაზე კურსები გაიარა ნიკოლოზ გომანმა (1913 წელს შეისწავლა მუყაოს დამუშავება), რომელიც შემდგომში ბათუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ერთ-ერთი დამაარსებელი გახდა (ი-27-1-3, ფ. 95). საქმეში იკვეთება აგრეთვე ცნობილი ექიმის, პლატონ გიგინეიშვილის ფიგურა, რომლის ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული სამედიცინო ცნობები ერთვოდა მოსწავლეთა მისაღებ დოკუმენტებს (ი-27-1-13, ფ. 16, 108).

დოკუმენტები ასახავენ მოსწავლეთა მრავალეთნიკურ და მულტიკულტურულ შემადგენლობას. კურსდამთავრებულთა შორის ვხვდებით როგორც მართლმმადიდებელ ქართველებს (სერგო ჯიბუტი, ივანე კობეშავიძე, მიხეილ კალატოზოვი, ლეონტი ხომერიკი, ვლასა გოგუაძე, რაფიელ ჟღენტი), ისე ადგილობრივ მუსლიმ ქართველებს (აჭარლებს) (სულეიმან ბეგ ფაღავა, მუსა აბდულ-აღა დიასამიძე, მემედ კაკაც-ოღლი) და კათოლიკებს (ივანე ხეჩინოვი, კონსტანტინე გეგეჭკორი) (ი-27-1-2; ი-27-1-10, ფ. 52). უცხო ქვეყნის მოქალაქეებს (ბერძნებსა და თურქებს) 1916 წლის ცირკულარით შეზღუდული ჰქონდათ უფასო სწავლება და პანსიონით სარგებლობა (ი-27-1-10, ფ. 79).

ეკლესია-მონასტრები და საეკლესიო მეტრიკული ჩანაწერები. საარქივო ფონდებში (საქმე N 13, 27, 28, 31) დაცულია სასწავლებელში მიღების მსურველთა პირადი საქმეები, რომლებიც შეიცავენ უნიკალურ მასალებს სხვადასხვა ეპარქიის მეტრიკული წიგნებიდან. ეს დოკუმენტები ფასდაუდებელი წყაროა იმ სასულიერო პირთა იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდნენ. დოკუმენტებში ჩამოთვლილია ეკლესიები (ლესას ღვთისმშობლის, სუფსის ღვთისმშობლის მიძინების, ქვემო ამაღლების წმ. გიორგის, ახალშენის ფერიცვალების, ლიხნის მიძინების, აბაშის წმ. გიორგის, მთავარ მოწამეთა წმ. გიორგის, ქვენობანის წმ. გიორგის, სამხთოს წმ. იოანეს, ვანის ქედის იოანე ნათლისმცემ-

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ლის, ხუნწის ღვთისმშობლის, გორდის მთავარანგელოზის, ერკეთის მთავარანგელოზის, ჯიხაიშის მთავარანგელოზის, ოზურგეთის წმინდა მარკოზის, მათხოჯის წმინდა ბასილის, ზედა მაღლაკის მაცხოვრის, საჯავახოს ღვთისმშობლის ეკლესიები და ორი ბერძნული ეკლესია: აჭყვის წმინდა გიორგის და ბათუმის საქალაქო წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიები), მათი მდებარეობა და სასულიერო პირთა (მღვდლები, მედავითნები, დეკანოზები, მეფსალმუნეები, წინამძღვრები: იონა ქოიავა, ვლადიმერ ქინქლაძე, პავლე კიღურაძე, ირ. ქორიძე, ლუკა ჯიშკარიანი, გერასიმე ნაკაიძე, იასე ინგოროყვა, იულიან ჭეიშვილი, ვლადიმერ კანდელაკი, კირილე არობელიძე, ბართლომე ბოლქვაძე, ნიკიფორე ინწკირველი, ილარიონ მგალობლიშვილი, ვასილი კახაძე, მაქსიმე სიხარულიძე, პავლე ცქვიტინიძე, სერაფიონ ცაგარეიშვილი, სიმონ შარაშიძე,სარდიონ ჯინჭარაიშვილი, იოსებ ჩიჩალაძე, სპირიდონ ჩარგეიშვილი, ტარას ტყეშელაშვილი, სილვესტრ ჯაში, ლუკა დოლაბერიძე, ალექსანდრე კანდელაკი, თევდორე ჩარკვიანი, ნიკიფორე ჩაჩუა, გრიგოლ ჩახვაძე, იოანე პაპანდოპულო, ნიკოლაი კონსტანტინიდი, დიმიტრი პიასდოპულო, მ. მანოსი, იოსებ ლაკერბაია, ანტიპ სპიადა) ვინაობა.

პოსტრევოლუციური პერიოდი და ფუნქციური ცვლილებები (1917–1921 წწ.). 1917 წლის თებერვლის რევოლუციისა და დროებითი მთავრობის რეფორმების ტალღამ სასწავლებლამდეც მიაღწია (ი-27-1-23, ფ. 1). ომის შემდგომმა ეკონომიკურმა კრიზისმა დააზარალა სასწავლებელი, რომელმაც 1917-1918 წლებში თავისი სიმძლავრეების მხოლოდ 50%-ის რეალიზება შეძლო. ამის გამო, 1919 წლის თებერვალში ბათუმის საკრებულომ და მმართველმა საბჭომ მიიღო დადგენილება სასწავლებლის აღდგენის, მაგრამ, ამავდროულად, სახსრების ოპტიმიზაციის მიზნით, პანსიონისა და აბრეშუმის საქსოვი განყოფილების გაუქმების შესახებ (ი-27-1-41, ფ. 2, 3). სასწავლებლის შენობაში დროებით შეასახლეს ვაჟთა პირველი უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი.

1919 წლის 1 იანვრიდან ბათუმის სახელოსნო სასწავლებლის ინსპექტორს შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა სახელოსნო სასწავლებლის მმართველი, რომელიც შედიოდა სამეურნეო განყოფილებაში და ექვემდებარებოდა ბათუმის ოლქის ტექნიკურ სამუშაოთა დირექციას (ი-27-1-41, ფ. 19, 45; ი-27-1-60, ფ. 18).

სასწავლებელი მჭიდროდ იყო ინტეგრირებული ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. 1920 წლის 14 თებერვალს სწორედ ბათუმის სახელოსნო სასწავლებლის შენობაში ჩატარდა ბათუმის სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელი კრება, რომლის მიზანი იყო მასებში სამეცნიერო ცოდნის გავრცელება და რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ სასწავლებლის პედაგოგები და სტუდენტები (ი-27-1-61, ფ. 17).

იმავე წლის სექტემბერში, სახალხო განათლების სამინისტროს დადგენილებით, სასწავლებელი გადაკეთდა საშუალო ტექნიკურ სასწავლებლად და გაიხსნა მექანიკური განყოფილება (გაზეთი „Эхо Батума“, 1920 წ. სექტემბერი; ი-27-1-61, ფ. 82), რომელშიც მიიღებოდნენ მიიღებოდნენ ის მოსწავლეები, რომელთაც დამთავრებული ჰქონდათ გიმნაზიის ან უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის ოთხი

CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

კლასი. მეცადინეობის დაწყების დროდ მითითებულია 1920 წლის 1 ოქტომბერი (ი-27-1-61, ფ. 82, 90). 1921 წლის მარტიდან, აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, სასწავლებელმა განიცადა სრული სოციალისტური რეორგანიზაცია და გარდაიქმნა საბჭოთა ტიპის პროფესიულ-ტექნიკურ საგანმანათლებლო დაწესებულებად.

დასკვნა

აჭარის საარქივო სამმართველოს ფონდ ი-27-ის მასალების შესწავლა საშუალებას იძლევა, თვალი მივადევნოთ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში პროფესიული განათლების განვითარების დინამიკას. ბათუმის სახელოსნო სასწავლებელი არ იყო მხოლოდ ვიწრო პროფილის საწარმოო ცენტრი; იგი წარმოადგენდა მულტიკულტურულ საგანმანათლებლო სივრცეს, რომელიც მყისიერად რეაგირებდა რეგიონის ეკონომიკურ გამოწვევებსა და სამხედრო-პოლიტიკურ კრიზისებზე (პირველი მსოფლიო ომი, რევოლუციები).

დოკუმენტების ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლებელმა ხელი შეუწყო ადგილობრივი ურბანული და ტექნიკური ელიტის ჩამოყალიბებას, მისცა რა გზა ცხოვრებაში სხვადასხვა ეთნიკური და სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებს. წინამდებარე კვლევით მზის სინათლეზე იქნა გამოტანილი პედაგოგთა, ექიმთა და სტუდენტთა ბიოგრაფიული მონაცემები, აგრეთვე მოხდა იმ ეკლესიების იდენტიფიცირება (ლესას, სუფსის, ქვემო ამაღლების, აჭყვის წმ. გიორგის ეკლესიები), საიდანაც გაიცემოდა მეტრიკული ამონაწერები.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

კახიძე 2012: კახიძე, ნ. *სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალ-ეკონომიკური ისტორიის ნარკვევები (1878–1921)*. ბათუმი: შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ბათუმი;

სურგულაძე 1987: სურგულაძე, ა. *განათლებისა და კულტურის ისტორია აჭარაში (XIX ს. ბოლო - XX ს. დასწყისი)*. თბილისი;

ჭაღალიძე 2004: ჭაღალიძე, შ. *ბათუმის საგანმანათლებლო კერების ისტორიიდან*. ბათუმი: აჭარა, ბათუმი;

ჯონსი 2007: ჯონსი, ს. *სოციალიზმი ქართულ ფერებში: ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა (1892-1912)*. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

გაზეთი „Эхо Батума“, 1920 წლის სექტემბრის ნომრები (დაცულია საარქივო ფონდის დანართებში).

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

საარქივო წყაროები:

აჭარის საარქივო სამმართველო, ცანტრალური სახელმწიფო არქივი (ასს ცსა), ფონდი ი-27 („ბათუმის სახელოსნო სასწავლებელი“), აღწერა 1, საქმეები: 2, 3, 4, 5, 6, 8, 9, 10, 11, 13, 21, 23, 24, 25, 26, 27, 41, 60, 61.

Literature:

Chaghalidze 2004: Chaghalidze, Sh. From the history of educational centers of Batumi. Batumi;

Jones 2007: Jones, S. Socialism in Georgian Colors: The Georgian Social-Democratic Movement (1892-1912), Ilia State University Publishing House, Tbilisi;

Kakhidze 2012: Kakhidze, N. Essays on the Socio-Economic History of South-West Georgia (1878–1921). Shota Rustaveli State University Publishing House, Batumi;

Surguladze 1987: Surguladze, A. History of education and culture in Adjara (end of the 19th century - beginning of the 20th century), Science, Tbilisi.

Newspaper "Echo of Batumi", September 1920 issues (preserved in the appendices of the archival fund);

Archival sources:

Central State Archives of Archives Administration of Ajara (csaaaa), fund I-27, description 1, case 2, 3, 4, 5, 6, 8, 9, 10, 11, 13, 21, 23, 24, 25, 26, 27, 41, 60, 61.

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026